

ვებგვერდი, 15/04/2013
სარეგისტრაციო კოდი
040040040.22.055.016022

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის
ბრძანება №01/236
2013 წლის 12 აპრილი ქ. თბილისი**

„სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 20 მუხლის მე - 4 პუნქტის თანახმად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას (სსმ III, 2001 წ., №18, მუხლი 156) დაემატოს შემდეგი შინაარსის „10¹“ პუნქტი:

„10¹. პროექტების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე სათათბიროს უფლება აქვს, რომ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საშუალებით პროექტის წარმოდგენ ბავშვთა და ახალგაზრდულ კავშირს მიმართოს რეკომენდაციით წარმოდგენილი პროექტის ფინანსურ პარამეტრებში კორექტივების შეტანისა და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე დამატებით წარმოდგენის თაობაზე, თუ მოცემული პროექტის შინაარსობრივი ნაწილი შეესაბამება სათათბიროს მიერ განსაზღვრულ დასაფინანსებელ პრიორიტეტებს და ამ მხრივ მიზანშეწონილია მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა მინისტრი

ლევან ყიფიანი